



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი (minor) პროგრამა

ხელოვნებათმცოდნეობა

1. პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პ რ./ს/ლ აბ.	კრედი- ტა რაოდენო ბა	სემესტრები						
					III	IV	V	VI	VII	VIII	
1	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1	3	2.1.0.0	5	5						
2	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2	3	2.1.0.0	5		5					
3	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 3	3	2.1.0.0	5			5				
5	საზღვარგარეთული კინოს ისტორია 1	3	2.1.0.0	5				5			
6	საზღვარგარეთული კინოს ისტორია 2	3	2.1.0.0	5					5		
6	საზღვარგარეთული მუსიკის ისტორია 1	3	2.1.0.0	5	5						
7	საზღვარგარეთული მუსიკის ისტორია 2	3	2.1.0.0	5		5					
8	ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1	3	2.1.0.0	5				5			
9	ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2	3	2.1.0.0	5					5		
10	ქართული კინოს ისტორია	3	2.1.0.0	5							5
11	ქართული მუსიკის ისტორია	3	2.1.0.0	5			5				
12	ქართული თეატრის ისტორია	3	2.1.0.0	5							5
სულ				60	10	10	10	10	10	10	10

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში;
 ლ/პ/ს/ლ/აბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული.

2. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაცია

კურსის კოდი: HAB0060

საზღვარგარეთის მუსიკის ისტორია 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრი და მისი შემადგენელი ფორმები - ორატორია, კანტატა, მესა, პასიონი, რეკვიემი; იმ კომპოზიტორთა შემოქმედებას, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ ჟანრს (პალესტრინა, ბახი, ჰენდელი, მოცარტი, ჰაიდნი, ვერდი, ბერლიოზი, ბრამსი, ორფი, სვირიდოკი); მუსიკალური ხელოვნების ძირითად ცნებებს, მუსიკალური ფორმის ელემენტებს, ჰარმონიისა და პოლიფონიის ძირითად ნიშნებს.

კურსის კოდი: HAB0070

საზღვარგარეთის მუსიკის ისტორია 2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ინსტრუმენტული და სიმფონიური ჟანრების ევოლუცია აღორძინების ხანიდან დღემდე; მეოცე საუკუნის სხვადასხვა სტილური მიმართულება, როგორცაა ვენის კლასიკოსების, რომანტიკოსების ეროვნული სიმფონიზმი. კურსი ასევე მოიცავს ახალ - მუსიკალურ-სცენურ - ჟანრს (ოპერა); მისი შექმნისა და ეროვნული სკოლების განვითარების პროცესს XVII-XVIII საუკუნეებში, გამოჩენილი საოპერო კომპოზიტორების (მოცარტი, როსინი, ვერდი, ვაგნერი, გლინკა, ბოროდინი, ბერგი, შტრაუსი, შოსტაკოვიჩი, პროკოფიევი) კონკრეტულ ნაწარმოებებს.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი საზღვარგარეთის მუსიკის ისტორია 1

კურსის კოდი: HAB0010

საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპები: პრიმიტიული ხელოვნება; ძველი აღმოსავლური ხელოვნება; ანტიკური ხელოვნება; შუა საუკუნეების ხელოვნება და არქიტექტურა; აღორძინების ხანის ხელოვნებისა და არქიტექტურის ძირითადი ტენდენციები და ჟანრები; მე-17-მე-18 საუკუნეების ევროპული ხელოვნება; რომანტიზმი და რეალიზმი მე-19 საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში.

კურსის კოდი: HAB0020

საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2 (5 კრედიტი)

კურსის მოიცავს შემდეგ პერიოდებს, მიმდინარეობებსა და თემებს: იმპრესიონიზმი ხელოვნებასა და რქიტექტურაში; პოსტიმპრესიონიზმი; ექსპრესიონიზმი; კუბიზმი; ფუტურიზმი; აბსტრაქტული ანუ უსაგნო ხელოვნება; დადიზმი და ტაშიზმი; სიურეალიზმი; კონსტრუქტივიზმი; სიმბოლიზმი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი საზღვარგარეთის ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1

კურსის კოდი: HAB0030

საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 3 (5 კრედიტი)

კურსის მოიცავს შემდეგ პერიოდებს, მიმდინარეობებსა და თემებს: „ახალი საგნობრიობა“ და რეგიონალიზმი; პოპ-არტი; ავანგარდი და ტრანსავანგარდი; აკმეიზმი; იმაჟიზმი; კინეტიკური ხელოვნება; კონცეპტუალიზმი; ნაბიზმი; ნეოკლასიციზმი; პოსტმოდერნიზმი; ჰიპერმანიერიზმი; ჰიპერრეალიზმი; მინიმალიზმი.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი საზღვარგარეთის ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2

კურსის კოდი: HAB0040

საზღვარგარეთული კინოს ისტორია 1(5 კრედიტი)

საზღვარგარეთული კინოს ისტორიის კურსი ბაკალავრებს აცნობს კინემატოგრაფის, როგორც ხელოვნების დარგის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპებს. საზღვარგარეთული კინოს ისტორიის კურსის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას წარმოდგენა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კინოსკოლების მახასიათებელ, სტილისტურ, ესთეტიკურ თუ თემატურ თავისებურებებზე, კინოს ისტორიის განმავლობაში წარმოშობილი ჟანრობრივი მრავალფეროვნებასა და ცალკეული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ ტენდენციებზე. კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: 1. კინოხელოვნების დაბადება და პირველი ნაბიჯები: ჟ. და ოგ. ლუმეიერები, ჟ.მელიესი. 2. მუნჯი კინოს ოსტატები: დ.უ. გრიფიტი, ჩ.ს.ჩაპლინი, ს. ეიზენშტეინი 3. ექსპრესიონიზმი გერმანულ კინოში: ფ.ლანგი, ფ.მურნაუ, ვ.ვ. პაბსტი 4. რეალიზმი 30-იანი წლების ამერიკულ კინოში: ჯ.ფორდი, უ.უაილერი, ო.უელსი 5. იტალიური ნეორეალიზმი: რ. როსელინი, ვ.დე სიკა, ლ ვისკონტი

კურსის კოდი: HAB0050

საზღვარგარეთული კინოს ისტორია 2 (5 კრედიტი)

საზღვარგარეთული კინოს ისტორიის კურსი ბაკალავრებს აცნობს კინემატოგრაფის, როგორც ხელოვნების დარგის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპებს. საზღვარგარეთული კინოს ისტორიის კურსის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას წარმოდგენა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კინოსკოლების მახასიათებელ, სტილისტურ, ესთეტიკურ თუ თემატურ თავისებურებებზე, კინოს ისტორიის განმავლობაში წარმოშობილი ჟანრობრივი მრავალფეროვნებასა და ცალკეული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ ტენდენციებზე. იტალიური კინოს კლასიკოსები: ფ.ფელინი, მ.ანტონიონი, პ.პ. პაზოლინი, ლ.ვისკონტი. “ახალგაზრდა გერმანული კინო”: ვ. ჰერცოგი, რ.ვ. ფასბინდერი, ვ. ვენდერსი. ფრანგული “ახალი ტალღა”: ჟ.ლ. გოდარი, ფ. ტრიუფო. ინგმარ ბერგმანის შემოქმედება. ანდრეი ტარკოვსკის კინოსამყარო.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი საზღვარგარეთის კინოს ისტორია 1

კურსის კოდი: HAB0080

ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული ხუროთმოძღვრება და მონუმენტური ფერწერა; უძველესი დროის ქართული ხელოვნება, ქართული არქიტექტურის საფუძვლები, მისი განვითარება ანტიკურ, ადრეფეოდალურ, გარდამავალ,

განვითარებულ და გვიანფეოდალურ პერიოდებში; ასევე განხილულია უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლები, სხვადასხვა პერიოდის ძირითადი სამშენებლო მასალები; ქალაქთმშენებლობის, ციხე-სიმაგრეების, კაპიტალისტური და სოციალისტური ხანის მშენებლობების სპეციფიკა. კურსი ასევე მოიცავს ქართული კედლის ფერწერის შესწავლას: მის ტექნიკას, ტექნოლოგიას, კომპოზიციურ თავისებურებებს, უმნიშვნელოვანეს ძეგლებს (IV-XIXსს.).

კურსის კოდი: HAB0090

ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია2 (5 კრედიტი)

კურსის მოიცავს შემდეგ თემებსა და ეტაპებს: ქართული ოქრომჭედლობა უძველესი დროიდან მე-19 ს.-მდე; ქართული მინანქრის ტექნიკა და მასში შესრულებული უნიკალური ძეგლები; საეკლესიო და საერო მინიატურა; ქანდაკება; მე-19 -მე-20 საუკუნეების ქართული ფერწერა; მოკლე მიმოხილვით მოხსენიებულ იქნება თანამედროვე (21-ე ს.) ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი ტენდენციები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1

კურსის კოდი: HAB0100

ქართული კინოს ისტორია (5 კრედიტი)

კურსი შეისწავლის ქართული კინემატოგრაფის წარმოშობას, ეროვნული კინოსკოლის თავისებურებებს, იმ ესთეტიურ და სტილისტურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რაც განასხვავებს ქართულ კინოს სხვა ეროვნული კინოსკოლებისაგან. ქართული კინოს ისტორიის ქრონოლოგიური შესწავლა სტუდენტებს მისცემს საშუალებას ცალკეული რეჟისორების შემოქმედების მაგალითზე გაანალიზონ და პარალელები გაავლონ XX საუკუნის საქართველოს ისტორიასა და ეროვნული კინემატოგრაფისათვის დამახასიათებელ თემებსა და პრობლემატიკას შორის. ქართული კინოს ისტორიის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კინოს შემოსვლა საქართველოში და პირველი ქართველი კინემატოგრაფისტები: ვ.ამაშუკელი, ა. წუწუნავა, ს.დოლიძე, ა. დიდმელოვი. ქართული კინოავანგარდი: ნ.შენგელაია. “ელისო”, მ.კალატოზიშვილი “ჯიმ შვანთე”, კ. მიქაბერიძე “ჩემი ბებია”. ხმოვანი კინოს შემოსვლა. თბილისის კინოსტუდია. “არსენა”, “დარიკო”. კინოსტუდია ქართული ფილმი”. იტალიური ნეორეალიზმის გავლენა ქართულ კინოზე “მაგდანას ლურჯა”, “სხვისი შვილები”. ქართველი “სამოციანელები”: ო.იოსელიანი, მ.კობახიძე, გ.შენგელაია, ე.შენგელაია. “ოთხმოციანელები”. ქართული კინოს მიების ხანა. თ.აბულაძის “მონანიება”, ე.შენგელაიას “ცისფერი მთები”.

კურსის კოდი: HAB0120

ქართული მუსიკის ისტორია (5 კრედიტი)

კურსის მოიცავს შემდეგ თემებსა და ეტაპებს: ქართული ხალხური სასიმღერო (როგორც გლეხური, ასევე ქალაქური) და სასულიერო გალობა; საერო მუსიკის განვითარება მე-12 საუკუნეში; ცალკე თემად გამოყოფილია მე-19 საუკუნის მუსიკალური ცხოვრება, როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებშიც; შესწავლილი იქნება ქართველი კლასიკოსების (მ. ბალანჩივაძე, ზ. ავალიშვილი, ვ. დოლიძე, ნ.

სულხანიშვილი, დ. არაყიშვილი), ასევე მეორე და მესამე თაობის კომპოზიტორთა (ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, ა. მაჭავარიანი, ა. კერესელიძე, რ. ლალიძე, ი. თორაძე, ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე) შემოქმედება; ქართული მუსიკის განვითარების ახალი პერიოდი 60-იანი წლებიდან, როცა ასპარეზზე გამოვიდა კომპოზიტორთა ახალი თაობა - ს. ნასიძე, ბ. კვერნაძე, ნ. სვანიძე, ვ. აზარაშვილი, ნ. გაბუნია, გ. ყანჩელი, ი. კეჭაყმაძე. გაანალიზებულია ხალხური მუსიკის უძველესი პლასტების გამოყენებით ეროვნულობის საკითხისადმი ახლებური მიდგომის სპეციფიკა,

კურსის კოდი: HAB0110

ქართული თეატრის ისტორია (5 კრედიტი)

ქართული თეატრის ისტორიის კურსი მთლიანობაში მოიცავს ქართული თეატრის განვითარების ისტორიას ანტიკური პერიოდიდან დღემდე. ის შედგება შემდეგი ძირითადი ასპექტებისაგან: ქართული დრამატული თეატრის ჩასახვის წინაპირობა და მიზეზები; დიონისეს კულტი საქართველოში; უფლისციხის თეატრი. ქართული ხალხური თეატრის განვითარების პროცესი: შრომის სიმღერა-სანახაობები, მაგიური სამონადირეო და აგრარული წეს-სახიობა, წარმართული მისტერიებიდან ხალხურ საფერხულო შესრულების დრამაზე გადასვლა. საფერხულო შესრულების მქონე ქართული ტრაგედიისა და კომედიის საწყისები. ძველ ქართულ დრამატულ სანახაობათა წყობა – ფერხული და ფერხისა. სახიობა და გამოცანების თეატრი.

კუკების ხალხური თეატრი და ჩრდილების კეთება. სახალხო სანახაობა – ყეენობა. ხალხური ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრი – ბერიკაობა. თოჯინების თეატრი მე-19 ს. 80-იან წწ. ერისთავის თეატრი. რუსთაველის სახელობის თეატრი 1935-2000 წწ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი 1934-2000 წწ. პერსონალები: დ. ალექსიძე, ვ. გომიაშვილი, ლ. გოთუა, ს. ზაქარიაძე, რ. თაბუკაშვილი, ს. თაყაიშვილი, მ. თუმანიშვილი, აკ. კვანტალიანი, ერ. მანჯგალაძე, ვ. ნინუა, ალ. ჟორჟოლიანი, მ. ჯაფარიძე, დ. ჭიჭინაძე და ა.შ. თანამედროვე ქართული თეატრი: ერთი მსახიობის თეატრი, თავისუფალი თეატრი, სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი.